# საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

# ბრძანება №142/ნ

**2024 წლის 30 აგვისტო**

**ქ.თბილისი**

## სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალის, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მაქსიმალური რაოდენობის, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის $47^4$ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს:

ა) ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალი, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული“ ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული“ ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი — გიორგი ამილახვარი

**დანართი №1**

### სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალი, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული

**მუხლი 1. სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალი, რომელთა ფარგლებშიც დაშვებულია მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სრულად ელექტრონული სწავლება**

მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სრულად ელექტრონული სწავლება დაშვებულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული შემდეგ დეტალური სფეროებში:

| ფართო სფერო | ვიწრო სფერო | დეტალური სფერო |
|---|---|---|
| 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია | 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები | **0311 ეკონომიკა** |
| | | 0311.1.1 ეკონომიკა |
| 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი | 041 ბიზნესი და ადმინისტრირება | **0411 აღრიცხვა და დაბეგვრა** |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | 0411.1.1 აღრიცხვა და დაბეგვრა | 0411.2.1 ფინანსური აღრიცხვა და კონტროლი |
| | | **0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა** | |
| | | 0412.1.1 ფინანსები | 0412.2.1 საბანკო საქმე<br><br>0412.2.2 ინვესტიციები და ფინანსური პორტფელების მართვა/ ინვესტიციების მართვა<br><br>0412.2.3 რისკებისა და ინვესტიციების მართვა<br><br>0412.2.4 სადაზღვევო საქმე |
| | | **0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება** | |
| | | 0413.1.1 მენეჯმენტი<br><br>0413.1.2 ბიზნესის ადმინისტრირება<br><br>0413.1.3 საჯარო მმართველობა | 0413.2.1 ადამიანური რესურსების მართვა<br><br>0413.2.2 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი<br><br>0413.2.3 ოპერაციების მენეჯმენტი<br><br>0413.2.4 მცირე ბიზნესის მართვა<br><br>0413.2.5 სპორტის მენეჯმენტი<br><br>0413.2.6 განათლების მენეჯმენტი<br><br>0413.2.7 ფარმაციის მენეჯმენტი<br><br>0413.2.8 ჯანდაცვის მენეჯმენტი/ადმინისტრირება<br><br>0413.2.9 ხელოვნების მენეჯმენტი<br><br>0413.2.10<br><br>ენერგეტიკის მენეჯმენტი<br><br>0413.2.11 ტექნოლოგიების მენეჯმენტი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 0413.2.12. პროექტების მენეჯმენტი<br><br>0413.2.13 სამთო საქმისა და გეოლოგიის მენეჯმენტი<br><br>0413.2.14 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი<br><br>0413.2.15 ლოგისტიკა<br><br>0413.2.16 სატრანსპორტო ლოგისტიკა<br><br>0413.2.17 ორგანიზაციის განვითარება<br><br>0413.2.19 გარემოს დაცვის მენეჯმენტი |
| | | **0414 მარკეტინგი და რეკლამა** | |
| | | 0414.1.1 მარკეტინგი | 0414.2.1 საზოგადოებასთან ურთიერთობა |
| 06<br><br>ინფორმაციისა და<br><br>კომუნიკაციის ტექნოლოგიები | 061<br><br>ინფორმაციის და<br><br>კომუნიკაციის ტექნოლოგიები | **0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება** | |
| | | 0612.1.1 ინფორმაციული ტექნოლოგიები<br><br>0612.1.2 ინფორმაციის ტექნოლოგიების უსაფრთხოება | |
| | | **0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი** | |
| | | 0613.1.1 ინფორმატიკა<br><br>0613.1.2 კომპიუტერული მეცნიერება<br><br>0613.1.3 ინფორმაციული სისტემები | 0613.2.1 პროგრამული ინჟინერია |
| | | **0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები – არაკლასიფიცირებული** | |
| | | | 0619.2.2 ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

**მუხლი 2. სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალი, რომელთა ფარგლებშიც დაშვებულია პროგრამის ცალკეულ კომპონენტებზე ელექტრონული სწავლება**

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ კომპონენტებზე ელექტრონული სწავლება დაშვებულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებულ შემდეგ დეტალური სფეროებში:

| ფართო სფერო | ვიწრო სფერო | დეტალური სფერო | |
|---|---|---|---|
| 01 განათლება | 011 განათლება | **0111 განათლების მეცნიერება** | |
| | | 0111.1.1 განათლების მეცნიერება | 0111.2.1 განათლების პოლიტიკა |
| | 018 ინტერდისციპლი-ნური | **0188 ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას** | |
| | | | 0188.2.1 განათლების ადმინისტრირება |
| 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები | 021 ხელოვნება | **0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება** | |
| | | 0211.1.1 აუდიოვიზუალური ხელოვნება<br><br>0211.1.2 კინო-ტელეხელოვნება<br><br>0211.1.3 აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე)<br><br>0211.1.4 საოპერატორო ხელოვნება (კინო, ტელე)<br><br>0211.1.5 ფოტოხელოვნება<br><br>0211.1.6 მედიახელოვნება/ციფრული მედია<br><br>0211.1.7 მულტიმედია დიზაინი<br><br>0211.1.8 გრაფიკული დიზაინი<br><br>0211.1.10 ილუსტრირება<br><br>0211.1.11 მონტაჟის ხელოვნება<br><br>0211.1.12 ბეჭდვითი მედია/ტიპოგრაფია<br><br>0211.1.13 – ვიზუალური კომუნიკაცია | 0211.2.1 ციფრული მოდელირება და პროექტირება (ხელოვნება)<br><br>0211.2.2 ციფრული და მხატვრული ანიმაცია |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | **0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი** | |
| | | 0212.1.1 დიზაინი<br><br>0212.1.2 სამრეწველო დიზაინი<br><br>0212.1.3 მოდის დიზაინი<br><br>0212.1.4 ტექსტილის დიზაინი | |
| | | **0213 სახვითი ხელოვნება** | |
| | | 0213.1.5 ხელოვნების ისტორია და თეორია/ ხელოვნებათმცოდნეობა<br><br>0213.1.6 გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება | |
| | | **0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება** | |
| | | 0215.1.2 თეატრის რეჟისურა (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის)<br><br>0215.1.3 თეატროლოგია<br><br>0215.1.4 კინომცოდნეობა<br><br>0215.1.7 ქორეოლოგია (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია)<br><br>0215.1.11 მუსიკის თეორია<br><br>0215.1.16 მუსიკოლოგია<br><br>0215.1.17 ეთნომუსიკოლოგია | 0215.2.2 დრამატურგია (ტელე, კინო, თეატრი) |
| | 022 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე) | **0221 რელიგია და თეოლოგია** | |
| | | 0221.1.1 თეოლოგია<br><br>0221.1.2<br><br>რელიგიის კვლევები | |
| | | **0222 ისტორია და არქეოლოგია** | |
| | | 0222.1.1 ისტორია | 0222.2.1 საქართველოს ისტორია<br><br>0222.2.2 ქრისტიანობის ისტორია<br><br>0222.2.3 სიძველეთმცოდნეობა |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | **0223 ფილოსოფია და ეთიკა** | |
| | | 0223.1.1 ფილოსოფია | |
| | 023<br><br>ენები | **0231 ენის დაუფლება** | |
| | | 0231.1.1 აფხაზური ფილოლოგია (აფხაზური როგორც მეორე ენა)<br><br>0231.1.2 ინგლისური ფილოლოგია<br><br>0231.1.3 გერმანული ფილოლოგია<br><br>0231.1.4 სკანდინავიური ფილოლოგია/სკანდინავის-ტიკა<br><br>0231.1.5 რომანული ფილოლოგია<br><br>0231.1.6 ფრანგული ფილოლოგია<br><br>0231.1.7 ესპანური ფილოლოგია/ესპანისტიკა<br><br>0231.1.8 იტალიური ფილოლოგია/იტალიანისტიკა<br><br>0231.1.9 კლასიკური ფილოლოგია<br><br>0231.1.10 ბიზანტიური ფილოლოგია<br><br>0231.1.11 ახალი ბერძნული ფილოლოგია<br><br>0231.1.12 სლავური ფილოლოგია/სლავისტიკა<br><br>0231.1.13 უკრაინული ფილოლოგია<br><br>0231.1.14 რუსული ფილოლოგია<br><br>0231.1.15 სომხური ფილოლოგია/არმენოლოგია<br><br>0231.1.16 თურქული ფილოლოგია /თურქოლოგია<br><br>0231.1.17 სპარსული ფილოლოგია/ ირანისტიკა<br><br>0231.1.18 არაბული ფილოლოგია/ არაბისტიკა<br><br>0231.1.19 ასირიოლოგია | 0231.2.1 ლექსიკოგრაფია<br><br>0231.2.2 თარგმანმცოდნეობა |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | 0231.1.20 ებრაული ფილოლოგია/ებრაისტიკა<br><br>0231.1.21 ებრაულ- არამეული ფილოლოგია /<br><br>0231.1.22 იაპონური ფილოლოგია/ იაპონისტიკა<br><br>0231.1.23 სინოლოგია | |
| | | **0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა** | |
| | | 0232.1.1 ქართული ფილოლოგია<br><br>0232.1.2 აფხაზური ფილოლოგია<br><br>0232.1.3 ფილოლოგია<br><br>0232.1.4 ლ იტერატურათმცოდნეობა<br><br>0232.1.5 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ ლიტერატურის შედარებითი კვლევები | 0232.2.1 ლინგვისტიკა/- ენათმეცნიერება<br><br>0232.2.2 ქართველური ენათმეცნიერება<br><br>0232.2.4. ქართული ლიტერატურა/ქართული ლიტერატურის ისტორია |
| | 028<br><br>ინტერდისციპლი-ნური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს | **0288 ინტერდისციპლინური – მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს** | |
| | | 0288.1.1 თავისუფალი მეცნიერებები<br><br>0288.1.2 ციფრული ჰუმანიტარია<br><br>0288.1.3 კულტურული მემკვიდრეობის კვლევები | 0288.2.1 შუა საუკუნეების კვლევები |
| 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია | 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები | **0311 ეკონომიკა** | |
| | | 0311.1.1 ეკონომიკა | |
| | | **0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები** | |
| | | 0312.1.1 პოლიტიკის მეცნიერება<br><br>0312.1.2 საერთაშორისო ურთიერთობები | 0312.2.1 დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა<br><br>0312.2.2 უსაფრთხოების კვლევები<br><br>0312.2.3 ნაციონალიზმისა და |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ეთნიკურობის კვლევები<br><br>0312.2.4 ევროპული ინტეგრაცია |
| | | **0313 ფსიქოლოგია** | |
| | | 0313.1.1 ფსიქოლოგია | 0313.2.1 სოციალური ფსიქოლოგია<br><br>0313.2.2 გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია<br><br>0313.2.5 განათლების ფსიქოლოგია<br><br>0313.2.6 შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია<br><br>0313.2.7 ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია |
| | | **0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები** | |
| | | 0314.1.1 სოციოლოგია<br><br>0314.1.2 დემოგრაფია<br><br>0314.1.3 საზოგადოებრივი გეოგრაფია<br><br>0314.1.4 კულტურის კვლევები<br><br>0314.1.5 გენდერის კვლევები | 0314.2.1 სოციალური და კულტურული კვლევები |
| | | **0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული** | |
| | | 0319.1.1 სოციალური მეცნიერებები | 0319.2.1 მიგრაციის კვლევები |
| | 032 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია | **0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა** | |
| | | 0321.1.1 ჟურნალისტიკა<br><br>0321.1.2 მასობრივი კომუნიკაცია (შინაარსი) | 0321.2.1 მედიის კვლევები |
| | | **0322 საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა** | |
| | | 0322.1.1 ინფორმაციის მართვის მეცნიერება | |
| | 038 ინტერდისციპლი-ნური | **0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას** | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | 0388.1.1 ევროპისმცოდნეობა<br><br>0388.1.2 ამერიკისმცოდნეობა<br><br>0388.1.3 ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევები<br><br>0388.1.4 კონფლიქტოლოგია | 0388.2.1 ბრიტანეთის კვლევები /ბრიტანეთისმცოდნეობა<br><br>0388.2.2 გერმანიისმცოდნეობა<br><br>0388.2.3 კავკასიის კვლევები<br><br>0388.2.4 ევრაზიისა და კავკასიის კვლევები<br><br>0388.2. 5 რუსეთისმცოდნეობა<br><br>0388.2.6 საბჭოთა კვლევები |
| 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და<br><br>სამართალი | 041 ბიზნესი და<br><br>ადმინისტრირება | 0411 აღრიცხვა და დაბეგვრა | |
| | | 0411.1.1 აღრიცხვა და დაბეგვრა | 0411.2.1 ფინანსური აღრიცხვა და კონტროლი |
| | | 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა | |
| | | 0412.1.1 ფინანსები | 0412.2.1 საბანკო საქმე<br><br>0412.2.2 ინვესტიციები და ფინანსური პორტფელების მართვა/ ინვესტიციების მართვა<br><br>0412.2.3 რისკებისა და ინვესტიციების მართვა<br><br>0412.2.4 სადაზღვევო საქმე |
| | | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება | |
| | | 0413.1.1 მენეჯმენტი<br><br>0413.1.2 ბიზნესის ადმინისტრირება<br><br>0413.1.3 საჯარო მმართველობა | 0413.2.1 ადამიანური რესურსების მართვა<br><br>0413.2.2 საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი<br><br>0413.2.3 ოპერაციების მენეჯმენტი<br><br>0413.2.4 მცირე ბიზნესის მართვა<br><br>0413.2.5 სპორტის მენეჯმენტი<br><br>0413.2.6 განათლების მენეჯმენტი<br><br>0413.2.7 ფარმაციის მენეჯმენტი<br><br>0413.2.8 ჯანდაცვის მენეჯმენტი/ადმინისტრირება<br><br>0413.2.9 ხელოვნების მენეჯმენტი<br><br>0413.2.10 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ენერგეტიკის მენეჯმენტი<br><br>0413.2.11 ტექნოლოგიების მენეჯმენტი<br><br>0413.2.12. პროექტების მენეჯმენტი<br><br>0413.2.13 სამთო საქმისა და გეოლოგიის მენეჯმენტი<br><br>0413.2.14 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი<br><br>0413.2.15 ლოგისტიკა<br><br>0413.2.16 სატრანსპორტო ლოგისტიკა<br><br>0413.2.17 ორგანიზაციის განვითარება<br><br>0413.2.19 გარემოს დაცვის მენეჯმენტი |
| | | **0414 მარკეტინგი და რეკლამა** | |
| | | 0414.1.1 მარკეტინგი | 0414.2.1 საზოგადოებასთან ურთიერთობა |
| | 042 სამართალი | **0421 სამართალი** | |
| | | 0421.1.1 სამართალი<br><br>0421.1.2 საერთაშორისო სამართალი | 0421.2.1 საჯარო სამართალი<br><br>0421.2.2 სისხლის სამართალი<br><br>0421.2.3 კერძო სამართალი |
| | 054 მათემატიკა და სტატისტიკა | **0541 მათემატიკა** | |
| | | 0541.1.1 მათემატიკა | 0541.2.1 გამოყენებითი მათემატიკა |
| | | **0542 სტატისტიკა** | |
| | | 0542.1.1 სტატისტიკა | |
| 06<br><br>ინფორმაციისა და<br><br>კომუნიკაციის ტექნოლოგიები | 061<br><br>ინფორმაციის და<br><br>კომუნიკაციის ტექნოლოგიები | **0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება** | |
| | | 0612.1.1 ინფორმაციული ტექნოლოგიები<br><br>0612.1.2 ინფორმაციის ტექნოლოგიების უსაფრთხოება | |
| | | **0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი** | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | 0613.1.1 ინფორმატიკა<br><br>0613.1.2 კომპიუტერული მეცნიერება<br><br>0613.1.3 ინფორმაციული სისტემები | 0613.2.1 პროგრამული ინჟინერია |
| | | **0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები – არაკლასიფიცირებული** | |
| | | | 0619.2.2 ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი |
| | | **0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული** | |
| | | 0919.1.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვა | 0919.2.1 ჯანმრთელობის ხელშეწყობა<br><br>0919.2.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა |
| | | **0923 სოციალური მუშაობა და კონსულტაცია** | |
| | | 0923.1.1 სოციალური მუშაობა | |
| 10 მომსახურებები | 101 პერსონალური მომსახურებები | **1014 სპორტი** | |
| | | 1014.1.1 სპორტი | |
| | | **1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება** | |
| | | 1015.1.1 ტურიზმი | 1015.2.1 კულტურული ტურიზმი<br><br>1015.2.2 რეკრეაციული ტურიზმი<br><br>1015.2.3<br><br>ტურიზმის მენეჯმენტი<br><br>1015.2.4 მასპინძლობის მენეჯმენტი |
| | | **1019 პერსონალური მომსახურებები – არაკლასიფიცირებული** | |
| | | | 1019.2.1 ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| | 103 უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები | **1031 სამხედრო საქმე და თავდაცვა** | |
| | | 1031.1.2 სამხედრო მეცნიერება | 1031.2.1 თავდაცვის ანალიზი |

*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 2 სექტემბრის ბრძანება №76/ნ - ვებგვერდი, 04.09.2025 წ.*

**დანართი №2**

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული**

**მუხლი 1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სრულად ელექტრონული სწავლების განხორციელების პირობები**

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ამ ბრძანების დანართი №1-ის პირველი მუხლით განსაზღვრულ დეტალური სფეროებში შეიმუშაოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სასწავლო პროცესის სრულად ელექტრონული სწავლების ფორმით წარმართვას გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული ფორმით ან ადგილზე – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისვლით. ასეთ შემთხვევაში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა არ უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ კომპონენტს (სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა, ლაბორატორიული მეცადინეობა, კლინიკური სწავლება, სახელოვნებო-შემოქმედებითი პრაქტიკა და სხვა), რომელიც სასწავლო კურსის/საგნის/პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტისა და შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ერთ გარემოში ერთდროულად, ფიზიკურად ყოფნას საჭიროებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ელექტრონული სწავლების ფორმით განხორციელების უფლებას მოიპოვებს აკრედიტაციის გავლის საფუძველზე.

**მუხლი 2. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა ფარგლებშიც დაშვებულია ელექტრონული სწავლება**

ამ ბრძანების დანართი №1-ის მე-2 მუხლით განსაზღვრულ დეტალურ სფეროებში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტების მაქსიმალურ რაოდენობა, რომელთა ფარგლებშიც დაშვებულია ელექტრონული სწავლება:

ა) არანაკლებ 240 კრედიტის მოცულობის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ელექტრონული სწავლება დაშვებულია არაუმეტეს 60 კრედიტისა, ხოლო, არანაკლებ 180 კრედიტის მოცულობის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - არაუმეტეს 45 კრედიტისა;

ბ) არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ელექტრონული სწავლება დაშვებულია არაუმეტეს 45 კრედიტისა, ხოლო, არანაკლებ 60 კრედიტის მოცულობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - არაუმეტეს 20 კრედიტისა;

გ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტზე ელექტრონული სწავლება დაშვებულია არაუმეტეს 30 კრედიტისა;

დ) საერთაშორისო ერთობლივი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან, რომელიც მოქმედებს - ევროკავშირის წევრი ქვეყნის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნების ან ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, არანაკლებ 240 კრედიტის მოცულობის საერთაშორისო ერთობლივ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ელექტრონული სწავლება დაშვებულია არაუმეტეს 80 კრედიტისა, ხოლო, არანაკლებ 180 კრედიტის მოცულობის საერთაშორისო ერთობლივ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - არაუმეტეს 60 კრედიტისა, არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობის საერთაშორისო ერთობლივ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ელექტრონული სწავლება დაშვებულია არაუმეტეს 60 კრედიტისა, ხოლო, არანაკლებ 60 კრედიტის მოცულობის საერთაშორისო ერთობლივ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - არაუმეტეს 30 კრედიტისა;

ე) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ელექტრონული სწავლება დაშვებულია არაუმეტეს 60 კრედიტისა;

ვ) მასწავლებლის მომზადებისა და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ელექტრონული სწავლება დაშვებულია არაუმეტეს 50 კრედიტისა.

**მუხლი 3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ კომპონენტებზე ელექტრონული სწავლების განხორციელების პირობები**

1. ამ დანართის მეორე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს, ელექტრონული სწავლების ფორმით გაიაროს ის სასწავლო კურსი/საგანი, რომელიც მოიცავს თეორიულ კომპონენტს და არ მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს (სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა, ლაბორატორიული მეცადინეობა, კლინიკური სწავლება, სახელოვნებო-შემოქმედებითი პრაქტიკა და სხვა), რომელიც სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტისა და შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ერთ გარემოში ერთდროულად, ფიზიკურად ყოფნას საჭიროებს. ასეთ შემთხვევაში შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება ადგილზე – სტუდენტების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისვლით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იმ სტუდენტისთვის, რომელიც არ აირჩევს თეორიული შინაარსის სასწავლო კურსის/საგნის ელექტრონული სწავლების ფორმას, ვალდებულია უზრუნველყოს სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება არაელექტრონული ფორმით, ადგილზე – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისვლით.